5980/3-81/22 2 04072022

5980/3-81/22
04-07-2022

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გასული წლის 2 ივნისს გაკეთებული საჯარო განცხადების თანახმად, ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონთან დაკავშირებით 2016-2021 წლებში დაწყებულია ოთხი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება არასრულწლოვნების მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე. გამოძიება მიმდინარეობს სავარაუდო ძალადობის 3 ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი) და სავარაუდო გაუპატიურების ერთ ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი).

ჩემს 5372/3-81/21 წერილსა და თქვენს 2021 წლის 21 ივნისით დათარიღებულ №13/34-36946 პასუხზე დაყრდნობით, ხელახლა მოგმართავთ იმავე შინაარსის შეკითხვებით და გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, 21 ივნისის შემდგომ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

კერძოდ,

1.აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით აქვს თუ არა ვინმეს წარდგენილი ბრალი და/ან არის თუ არა ვინმე დაკავებული?

2. რა სახის საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში?

3. რა ფაქტორებით არის განპირობებული გამოძიების ხანგრძლივობა იმ პირობებში, როდესაც გამოძიების დროულად დასრულება და სიმართლის გარკვევა მაღალი საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი